საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 11763/01
11/12/2020

11763-01-2-202012111205

შპს „აბს“

მის: ქ. თელავი, თეთრიანის ქ. N 15

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 18 ნოემბრის N17968 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი განცხადება, რომელიც ეხება თელავის მუნიციპალიტეტში, სოფ. რუისპირში შპს „აბს“ მიერ სასარგებლო წიაღისეულის (ღორღი) გადამუშავების პროექტს.

წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს შემდეგი ინფორმაცია:

- გზშ-ის ანგარიშში, შესავალ ნაწილში (გვ. 13) აღნიშნულია, რომ ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" II დანართის მე-2 მუხლის 2.3 პუნქტის (სასარგებლო წიაღისეულის ზღვიდან მოპოვება) თანახმად, წარმოდგენილი საქმიანობა ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, შპს „აბს“ საქმიანობის სფეროა სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება, რაც ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” მე-2 დანართის 5.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობაა. შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს რედაქტირებას;
- სკოპინგის პროცედურის ეტაპზე ტერიტორიის ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ შპს ,,მშენებელი 2009” (საწარმოდან დაშორება 336 მ) წარმოადგენს სამშენებლო მასალების საწარმოო ობიექტს, შესაბამისად სკოპინგის დასკვნის თანახმად, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ინფორმაცია შპს ,,მშენებელი 2009”-ის საწარმოო ობიექტის საქმიანობის შესახებ და შეფასებული შპს ,,მშენებელი 2009”-ის საწარმოსთან მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება; გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ,,შპს „მშენებელი 2009“-ის საკუთრებაში არსებული ტერიტორია დღესდღეობით აუთვისებელია და აღნიშნულ ტერიტორიაზე არ ფუნქციონირებს რაიმე სახის საწარმოო ობიექტი”. როგორც უკვე აღინიშნა, ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ ტერიტორია ათვისებულია და მასზე განთავსებულია

შესაბამისი ინფრასტრუქტურა. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;

- გზშ-ის ანგარიშში (გვ 59) აღნიშნულია, რომ საქმიანობის სპეციფიკის გამო ნიადაგის ძირითად დამაბინძურებელ ფაქტორს წარმოადგენს: შლამის და კუდების მართვის წესების დარღვევა და ნავთობპროდუქტების ნიადაგში მოხვედრა. საწარმოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, შლამების და კუდების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- გზშ-ის ანგარიშში (თავი 8.5 ნარჩენების მართვის პროცესის აღწერა) აღნიშნულია, რომ მკაცრად გაკონტროლდება სამშენებლო დერეფნის საზღვრები, რათა სამუშაოები არ გასცდეს მონიშნულ ზონებს და ადგილი არ ჰქონდეს ინერტული და მცენარეული ნარჩენების დამატებით წარმოქმნას (გვ 84). ასევე აღნიშნულია, რომ სამშენებლო მოედნებზე და ექსპლუატაციის ეტაპზე **გამწმენდი ნაგებობის** ტერიტორიაზე, შესაბამის უბანზე დაიდგმება ორ-ორი განსხვავებული ფერის პლასტმასის კონტეინერები, შესაბამისი წარწერებით (გვ 84). თუმცა, სამინისტროში წარმოდგენილი სკრინინგის დოკუმენტაციის თანახმად, საწარმო მოწყობილია 2019 წლიდან, ამასთან სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის ფარგლებში საწარმოს ტერიტორიის ადგილზე დათვალიერების შემდგომ დადასტურდა, რომ საწარმო უკვე მოწყობილია. შესაბამისად აღნიშნული საჭიროებს რედაქტირებას; ამასთან, გზშ-ის ანგარიშის თანახმად, პროექტის ფარგლებში დაგეგმილი არ არის ტერიტორიაზე გამწმენდი ნაგებობის განთავსება. შესაბამისად, გაუგებარია რა გამწმენდ ნაგებობაზეა მოცემული ინფორმაცია;
- გზშ-ის ანგარიშში (გვ 34) აღნიშნულია, რომ უშუალოდ საწარმოს ტერიტორიის უახლოესი მდინარეა: მდ. ალგეთი და მდ. თურდო. ასევე აღნიშნულია, რომ დაგეგმილი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედების ზონაში, ყველაზე სენსიტიურ ზედაპირული წყლის ობიექტს წარმოადგენს მდინარე თურსო, რომლებიც საწარმოო ობიექტიდან დაშორებულია 140 მეტრით. საპროექტო ტერიტორიის ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ ტერიტორიის სიახლოვეს მიედინება მხოლოდ მდ. თურდო, ხოლო მდ. ალგეთი საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არ მდებარეობს. რაც შეეხება მდ. თურსოს ინფორმაციის ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ მსგავსი მდინარე საქართველოში არ არსებობს. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ,,რადგან საწარმოში ნედლეულის სახით გამოიყენება მხოლოდ ინერტული მასალა, ამიტომ სანიაღვრე წყლების დაბინძურების რისკ-ფაქტორები არ არსებობს. აქედან გამომდინარე, სანიაღვრე წყლების გაწმენდის მოთხოვნა არ არსებობს" (გვ 78). ამასთან ანგარიშში აღნიშნულია (გვ 58), რომ ,,საწარმოო ტერიტორიიდან წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების დაბინძურების რისკი შეწონილი ნაწილაკებით არსებობს, რომელიც არ აღემატება ზოგადად რეგიონში წარმოქმნილ სანიაღვრე წყლებში არსებულ ფონურ მაჩვენებლებს და რომ აღნიშნული წყლები მოხვდება ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ სანიაღვრე არხებში". აღნიშნული ჩანაწერები ურთიერთსაწინააღმდეგოა და საჭიროებს დაზუსტებას. ასევე დაზუსტებას საჭიროებს რა იგულისხმება „რეგიონში წარმოქმნილ სანიაღვრე წყლებში არსებულ ფონურ მაჩვენებლებში". ასევე

დასაზუსტებელია ინფორმაცია ტერიტორიის მიმდებარედ არსებული სანიაღვრე არხების საკუთრების შესახებ;

- დამატებით გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ უნდა იქნეს განახლებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევების ნორმების პროექტი (მოქმედების ვადით 2021-2026 წწ).

გაცნობებთ, რომ სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც შპს „აბ“ უზრუნველყოფს დაზუსტებული და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი სრულყოფილი დოკუმენტაციის სამინისტროში წარმოდგენას.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე